

# დღეს ნოვაქოცია:

საპროლაბარეო სსრ ზეარითი კალენარისა და სპორტის სახელწოდო  
კომიტეტი და პროლაბარეო რესპუბლიკური საპროლაბარეო  
ლელო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ  
КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 ნოემბერი, 1988 წ. № 226 (9883) ზანი 3 პაბა.

გამოქმდი 1934 წლის 13 აპრილიდან

## დამბოცდა ახალი მოტოპონები

„ლელო“ მკითხველებმა იციან, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მხარდაჭერით დღეს ყველაფერი კეთდება, რათა ქართული სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის შეიქმნას ერთიანი და მწყობრივი სისტემა. პირველი შედეგები ყველას გვეამბეფება — სეულს ოლიმპიურ თამაშებში მობრუნებული წარმატებები გვაქვს მხედველობაში. და მაინც, ყველაფერი ეს მხოლოდ დასაწყისია. წინა პლანზე გამოდის ბავშვთა სპორტიდან მოყოლებული ყველა რგოლში მუშაობის სრულყოფა. ჩვენმა მკითხველებმა ისიც იციან, ბოლო წლებში თუ როდენ დიდ ყურადღებას იჩენენ რესპუბლიკაში ნიჭიერი და პერსპექტიული მოზარდი სპორტსმენებისადმი. სამი წელია ჩვენს გაზეთში ჰქვეყნდება იმ სპორტსმენთა სია, რომლებსაც სპეციალისტები დიდი სპორტის დირექტორ ცვლად მიიჩნევენ. არც ის არის დასაშალი, რომ შემდეგ ეს სია ედება საფუძვლად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად სპორტსმენთა რეკომენდაციას. სიაში შეყავთ მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც აქმაყოფილებენ კონკრეტულ მოთხოვნებს. ამ მიმართებით მიმდინარეობდა კრიტერიუმების სრულყოფილი დღეს უკვე ხელთა გვაქვს რესპუბლიკის სპორტსახეობის ბრძანება, რომლითაც სპეციალისტებს შორის ფართო მხარელობის შემდეგ უკვე საბოლოოდ დადგინდა ის მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულ იქნება პერსპექტიულ სპორტსმენთა სიის შედგენისას. აქვე შეგინშნავთ, რომ ადრინდელი კრიტერიუმები არ იყო სრულყოფილი, იქმნებოდა გამონაკისების დაშვების შესაძლებლობა, რაც, ცხადია, საპირისპიროდ იწვევდა სპორტსმენთა და მშობელთა ერთი ჯგუფის უკმაყოფილებას. იყო ფაქტები, როცა მშობლები ფორმალურად ახერხებდნენ საკავშირო ნაკრებ გუნდებში შეილის გამოძახებას, ეს დოკუმენტი კი საკმარისი იყო სპორტსმენის მოხედრილობის პერსპექტიულთა სიაში და შემდეგ მოითხოვდა ესარგებლა აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ახლა ასეთი რამ გამორიცხვულია. ვთავაზობთ ახალ კრიტერიუმებს. მომავალში სიებში მოხედლებიან ისინი გინც:

1. ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში ჩარიცხულია სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატად (სსრ კავშირის სპორტსახეობის ოფიციალური სიით);

2. უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდების წევრები (ვათა კალათბურთი, წყალბურთი, რეგბი, ფეხბურთი).

შენიშვნა: სპორტულ თამაშებში სიაში შესაყვანთა რეკომენდაციებს იძლევიან გუნდების უფროსი მწვრთნელები, სპორტსახეობის განყოფილებათა გამგებების ვიზით და უთანხმებენ სპორტსახეობის თავმჯდომარის იმ მოადგილეს, რომელიც ხელმძღვანელობს კონკრეტულ სპორტის სახეობას.

3. სპორტსმენები, რომლებიც პირად ან გუნდურ საკავშირო ჩემპიონატებში ბლოკ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში დაიკავენ: I-III ადგილს — აკრობატიკაში, აფროსნობაში, ბადმინტონში, ბატუტზე ხტომაში, კრივში, თავისუფალ ჭიდაობაში, კლასიკურ ჭიდაობაში, სამბოში, ძიუდოში (ჯაბუკები და გოგონები), აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ბაიდარებით და კანოით ნიჩბოსნობაში, ცხენოსნობაში, სინქრონულ ცურვაში, წყალში ხტომაში, თანამედროვე ხუთბრენი, მშვიდდონობაში, ტყვიის სროლაში, ხასტენდო სროლაში, ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ჭადრაკში, შაშხი;

I-IV ადგილს: მაგდის ჩოგბურთში, ტრეკზე ველორბოლაში;

I-VI ადგილს: სპორტის ზამთრის სახეობებში, მხატვრულ ტანვარჯიშში (ჯგუფური ვარჯიში), ველოსპორტში (საგზატყვილო რბოლა, მრავალდღიანი რბოლა — პირადი ადგილები);

I-VIII ადგილს: სპორტული ტანვარჯიშში, მხატვრული ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში;


4. IV საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების მონაწილეები (საკითხს განიხილვენ პერსონალურად, გვარებით სპორტსახეობის თავმჯდომარის იმ მოადგილესთან, რომელიც ხელმძღვანელობს სპორტის მოცემულ სახეობას).

**რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ამ ქალაქში მიმდინარე ჩოგბურთელობა სეერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში მოსკოველმა ანდრე ჩენსკოვმა დათმო შეხვედრა პერუელ ხაიმე იასავასთან — 5:7, 6:7.

**გიუანანი.** კალინინგრადელმა ალექსანდრ ვოლოკოვა ჩოგბურთელობა სეერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი სტანისლავ სტანკოვიჩი — 6:3, 3:6, 6:1.

**კანადა.** მინსკელმა ძალოსანმა ლეონიდ ტარანენკომ ავსტრალიაში ეგრობელთა გადასმის 200 წლისთაგისადმი მიძღვნილ სუბერ-მძიმეწონისან ძალოსანთა ასპარეზობაში 266 კგ აპკრა და 500 გრამით გაუჭოლესა მისივე მსოფლიო რეკორდი ამ მოძრაობაში. ლ. ტარანენკომ ორჯერ იცოდა ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 475 კგ.


### ხელნახში - კიოსკი



**ტომიო.** საბჭოთა-ფიგურიატებმა იაპონიის დედაქალაქში დაწყებულ ოთხ დღი სეერთაშორისო ტურნირიდან, სამში ხელთ იგდეს ლიდერობა. პირველ დღეს შესანიშნავად გამოვიდნენ ლენინგრადელი ოსტატები ლარისა სელენიოვა და ოლეგ მყაროვი წყვილთა სრიალში, მოსკოველი მოტეკავეები მარინა კლემოვა და სერგეი პონომარენკო, აგრეთვე ალექსანდრე ფადევი.

ქალთა შორის ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩეოდა იაპონიის ჩემპიონის მიდორი იტოს გამოხსვლა. შას სპეციალისტები „მსოფლიო გვირგვინ“-89-ის სერიალულ პრეტენდენტად მიიჩნევენ. საყვარლდებულო ცეკვების შემდეგ მეორე ადგილზე არიან მაია უსოვა და ალექსანდრ ჟულინი, წყვილთა სრიალში კი ლენინგრადელი ელენა ბეჩკე და დენის პეტროვი.

**სტოპოლი.** შეგვიის სახელმწიფო ტელევიზია არ გადმოსცემს დევისის თასის ფინალურ მატჩს ამ ქვეყნისა და გფრ-ის ჩოგბურთელობა შორის. ეს გადაწყვეტილება მიღებულია ბორის ბეკერისა და კარლ-უეგე ტეგების წინააღმდეგ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამართულ ტურნირზე.



## ახალი მოტოპონები

**გაუნი,** 26 ნოემბერს, თბილისის კიროვის სახელობის პარკში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უზენეს შორის საქართველოს კომპაქტური ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. ამჯერად ერთმანეთს პირისპირ დადგნენ სოფელ ვაყის (ხაშურის რაიონი) და სოფელ ფშაველის (თეგის რაიონი), სოფელ პატარქელის (საგარეჯოს რაიონი) და სამტრედიის ნაძალადევის უბანის ფალაგები. უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელ გათამაშებაში აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების გუნდებთან ერთად მონაწილეობენ დასავლეთ საქართველოს რეგიონების ფალაგები. ასპარეზობამ და-

გვანახა, რომ დასავლეთ საქართველოში ქართული ჭიდაობა არაა მოპულარულია. სამტრედიელები გამანადგურებელი ანგარიშით 5:0 დამარცხდნენ პატარქელის წარმომადგენლებთან. ამასთან სამტრედიელები შეჯიბრებაზე ჩამოვიდნენ მწვრთნელის გარეშე, მოუმალებელი. საინტერესოდ და დამაბულად წარიმართა სოფლების ვაყის და ფშაველის გუნდების შეხვედრა. ვინც შირშანდელ ასპარეზობას ადევნებდა თვალს, მათ იციან, რომ ეს ორი გუნდი ძლიერი ფალაგები არის დაკომპლექტებული. ანგარიშით 5:4 გაიმარჯვეს ვაყის მოქიდავეებმა.

**05ა ჩანვაზვილი.**

### მზარუნდაპო დაზაფილს

## „პრეპანუნი ისკუ შეპსლიტ“

თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორმა 20 ნოემბერს ვაზეთ „ლელოში“ გამოვეყენებული კრიტიკული წერილის „არჩევანში“ იხვედნენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მკაცრი მსჯელობის საგანი ვაზდა 21 ნოემბრის რიგგარეშე პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ტექნიკუმის დირექტორმა რ. მერკვილამემ, დირექტორის მოადგილეებმა დ. კუჭუხიძემ, პ. ტურიაშვილმა, ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელმა უ. ბარნაბიშვილმა, სასწავლო განყოფილების გამგებმა ც. ქერაშვილმა, უ. ჯანაშვილმა, მოსწავლეთა პროფკომის თავმჯდომარემ ი. ფარცვანია, ალკ კომიტეტის მდივანმა თ. ქიფიანმა, ფიზკულტურის მასწავლებელმა გ. გილაურმა, 207-ე ჯგუფის დამრიგებელმა რ. ლაზიაშვილმა

და სხვებმა თვითკრიტიკულად იმსჯელეს წერილში მოყვანილი ფაქტების ვარაუდით. პედსახბოს სხდომაზე აღინიშნა, რომ ნაკლავანებები გამოწვეულია რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით, რომლებშიც მენტაკლებად მიუძღვის ბრალო როგორც ტექნიკუმის მუშაკებს, ისე გათბომის ორგანიზაციის მენვეურებს. დღეისათვის მოწესრიგებულია დროებით მწყობრიდან გამოსული საქიდაო დარბაზი, აღდგენილია ტრენაუორები. პედსახბოს გადაწყვეტილებით, განაკურთხული კონტროლია დაწესებული ფიზკულტურის გაცეთილების ჩატარების ხარისხსა და მეთოდიაზე. პედაგოგიურმა საბჭომ მკაცრად გააფრთხილა დირექტორის მოადგილეები სასწავლო დარბაზში პ. ტურიაშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარბაზში დ. კუჭუხიძე. საყვედური გამოცხადდა ფიზკულტურული მუშაობის ხელმძღვანელს უ. ბარნაბიშვილს და 207-ე ჯგუფის დამრიგებელს რ. ლაზიაშვილს — სადამრიგებლო ჯგუფში სუსტი აღმზრდელობითი მუშაობისათვის. სასტიკი საყვედური გამოცხადდა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს გ. გილაურს 207-ე ჯგუფში ფიზკულტურის გაცეთილის ჩაშლისათვის.

**რ. მარკვილაძე.**  
ტექნიკუმის დირექტორი.

## სეულის ოლიმპიადის პრიზიტორები

# აღიარება

სსრკმბანი წლის ასაკში ასეთ დიდი წარმატებას მოტიდავებები იშვიათად აღწევენ. ამირან ტორტაკაშვილია XXIV ოლიმპიადის ძიულისტთა ტურნირში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ყველა სპეციალისტს — ჩვენცა და უცხოელსაც გააყვირა. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა შოთა ხაბარელმა, რომელიც სეულში ძიულისტთა ტურნირის ვსწრებოდა ერთი ასეთი ფაქტა გაისსენა:

— იამასიტას ავტორიტეტი ძიულში დაახლოებით ისეთია, როგორც პელესი — ფეხბურთში. და აი, ამ იამასიტამ, რომელსაც ქართველ მოტიდავებთან ძველი მე-

გობრობა აკავშირებს ტურნირის დამთავრების შემდეგ გვიბრბა: ასეთი ძლიერი, ტექნიკური და აზროანი ძიულისტია იშვიათად მიხანახასო... იამასიტა სეულში იაონიის ტელემაყურებლებსთვის ამ შეჯიბრებას კომენტარებს უკეთებდა. ერთ კოლეგას გაუფრთხილებია წინასწარ — მაგ ყმაწვილს კარგად მიადევენ თვალს, ფინალში უსათუოდ იტოდავებსო, იამასიტა მართლაც მოიხიბლა ამირანის დახვეწილ ოსტატობით, არა და იაონელი იშვიათად აქებს სპორტსმენს. ეს ყველამ კარგად იცის.

შოთა ხაბარელმა ქართველი ძი-

ულისტის გამოხსვლაზე ბეგრი საინტერესო რამ გვიამბო:

„ცხრამეტი წლის ძიულისტის იშვიათად იწვევენ ნაკრებში. თქვენის აზრით რამ განაპირობა მწვრთნელთა ასეთი ვაბედული არჩევანი? — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ ამირანი სულ ნაკრებში იყო და მისი დაოსტატება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველა აფაღონს, საჯაროდ ხდებოდა. ეგრობის ჩემპიონატისთვის საგულდაგულოდ, დიდი მონდომებით მოემზადა და შედეგად“

# აღიარება

(დასასრული)

არ დააყოვნა. მწვრთნელები მიზანდარბიდა, რომ უკეთეს კანდიდატს ყველაზე მსუბუქ წონაში ვერ შეარჩევენ და მთელი ყურადღება მასზე გადართვებოდა.

**საკავშირო და ევროპის ჩემპიონატების თუ არ ჩავთვლით, დიდი სპორტისთვის ამირანი მაინც ახალბედა იყო. უფროაზროვნე თუ არა მწვრთნელები მას საპრიზო ადგილს?**

— ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ცოტა შინადაცხადია, ნაკლები მწვრთნელებთან ამის თაობაზე გულახდილი საუბარი არ შეიძლება. მაგრამ ერთი რამ გიცი: ამირანიმა განსაკუთრებით ვლადიკონსტაჟოვი ბოლო ვარჯიშებზე გამოიჩინა თავი, როცა საგრძობად გაიზარდა დატვირთვების მოცულობა. იგი ფაქტიურად ყველა მეტოქეს შეხვდა და ყველაზე სათითაოდ წმინდად დაამარცხა. მაშინ ითქვა გადაჭრით, რომ თუკი საბჭოთა გუნდიდან ვინმე პირველ ადგილს მოიპოვებს, უსაათოდ ამირან ტრეტიაკივილი იქნება. თუმცა, ჩემის აზრით, ადგილი მისთვის მაინც არ დაუკავშირება.

**ოლიმპიადაზე ბრინჯაოს ჯილდოს მოპოვება, თავისთავად, დიდი წარმატებაა. თქვენ, როგორც ოლიმპიური ჩემპიონისა და გამოცდილ მწვრთნელს, ამირანის ეს თვისებები მოგწონთ?**

— მომწონს და, გულახდილად ვიტყვით, მოცულობა კიდევ მისი დამოკიდებულება საქმიანობაზე. ხშირად მოეწონებოდა სპორტსმენების პროფესიონალიზმისაკენ, მოვალეობისადმი პროფესიონალურ მიდევრებას ეუბნებოდა. მაგრამ ამ ჩვევის გამოუმთავრებელ მეტყველებს დრო სჭირდება და სპორტსმენი მას, სამწუხაროდ, მაშინ აღწევს, როცა უკვე „დაბლა ეშვება“. ამირანს, თავისი ცხრა მეტრი წლის ასაკში ეს თვისება უჩვეულოდ აქვს გამოკვეთილი. თვითონ იცის როგორ უნდა მოემზადოს, მოიქცეს, რა არის საჭირო იმისათვის, რომ საჭრთელშია პროცესში უნაკლოდ ჩაიაროს. იქნებ არც კი დამიჯეროთ, მაგრამ ერთ შემთხვევაზე ვერ გავიხსენებ, ამირანს რეჟიმი რომ დაეზღუდა. მე თუ მკითხავთ, ასეთ სპორტსმენს მწვრთნელს ზედამხედველობა არც

სჭირდება. მიეცი დავალება და მოთხოვე. იგი შინაგანად არის მოტივირებული ასეთი დავალებების შესასრულებლად.

**ამირან ტრეტიაკივილი ოლიმპიური ტურნირის პირველადი შეხვედრა წააგო. რამდენად მოულოდნელი იყო ეს თქვენთვის — მწვრთნელებისთვის, გუნდისთვის, გულმემატყვრებისთვის?**

— პირველადი ბრძოლაში მარცხი ჩვეულებრივ კატასტროფის ტოლფასია. მაგრამ არის ერთი ნიშანი. ფაქტობრივად წაგება, რომელიც შემდგომში გზას გაიკვლივს ფინალისაკენ, რაცაც შენსებ კიდევ სტრეზს. ამირანი დამარცხდა სამხრეთკორეულ ძიუდოსტთან, რომელიც ბოლოს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ამან ჩვენს თანამემამულეს ბრინჯაოს მედალისთვის ბრძოლის უფლება დაუტოვა.

**თუ იყო დამაჯერებელი კორეელი მოკიდავის გამარჯვება?**


— არ მიყვარს მსაჯემის დადანა-შეაღება. ამას შედეგების დამატებით მუდამ გავუმარცხებ. მაგრამ ერთხელ ამირანი, ჩემის აზრით, გაუმართლებლად დამარცხდა. იღვთი, რომელიც მან მესამე თუ მეოთხე წუთზე შეასრულა, ვახარს თუ არა, იუკოს მაინც იმსახურებდა. მაგრამ არბიტრებმა სხვაგვარად შეაფასეს იგი — უფრო სწორად, ყოველმხრივ გამართული და უნაკლო შესრულებული გდება არ შეაფასეს და ერთადერთმა კოკამ გამარჯვება კორეელ სპორტსმენს მოუტანა.

**როგორ იმოქმედა ამირანზე ამ უსამართლო გადაწყვეტილება?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, განაჩენს ვიგოცუბრად შეხვდა. აქედ გაამხივნებდა, გავარწყინებდა, მესამე ადგილისთვის მაინც ვიბრძოლებო. მაგრამ აქაც ბევრი ძლიერი მეტოქე ჰყავდა და ვიშობოდი კიდევ, რაიმე განსაკუთრებული არ შეიძებოდა.

**კიდევ რომელი ბრძოლის გამოიყოფა შეგიძლიათ?**

— პირველი მარცხის შემდეგ შეიქმნა მეტად რთული სატურნირო სიტუაცია: მეტოქეები ფაქტიურად ელოდნენ ამირანის ბრძოლის შედეგს და ამ უკანასკნელსაც, ამის გამო, ხუთწუთიანი შესვენების შემდეგ სარბიულზე უხედებოდა გასვლა. ასეთ ვითარებაში, ფაქტიურ-



# მხოლოდ პონიპიტი

**ჩემი** გავთი იშვიათად აქვეყნებს ხოლმე არასპორტულ ინფორმაციას, ისიც, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ახლა სწორედ ის განსაკუთრებული შემთხვევაა, რაც ნათლად დასაჩიბებ უნდა იყოს ყველა ჩვენგანისთვის.

ვერც რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, რომლის ინტერესები ძვირფასია ჩვენთვის, ცხადია, გულგრილი ვერ დარჩება რესპუბლიკაში მიმდინარე საგანგებო მოვლენების მიმართ. სულ მალე, რამდენიმე დღის შემდეგ, უნდა გადაწყდეს ერისთვის უმნიშვნელო-ოვანი საკითხი, ამასთან დაკავშირებით კი ახალგაზრდობის ემოციებმა ფართო მასშტაბს მიაღწია. ჩვენს აზრით, ამჟამად გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მან არ გადაღობოს ზომიერების, სიბრძნისა და გონიერების ჯებირი და არ გამოიწვიოს მოქმედება, რომელიც საერთო საქმეს გამოუტხრის ძირს.

განსაკუთრებულ შემთხვევას იწვევს შემდეგი გარემოება: მისახეობაში გრცელდება ქორი, რომ, თითქოს მათ, ვინც კი ახლა მთავრობის სახელის წინ შიშობილბას აცხადებს, ან სხვებს, რომლებიც მიტინგებზე გამოდიან, სურთ საქართველოში ეთიოპიური შულის გამოწვევა. არაქართველი მოსახლეობის გაქვედა რესპუბლიკის ფარგლებში გაერთ. ეს იწვევს უადრესად სახიფათო არასასურველ აქტივობას, რომელიც მეტად უსაიმო მეგზურად მიჰყვება საერთო მობრბობას ტერორიტი დემოკრატიისათვის.

სინამდვილე კი სულ სხვა რამეს გვიმტკიცებს: არაფორმალური გულუფლებია და საზოგადოების წევრებმა, შიშობილობის აქციის მონაწირ-

ლებმა, მისმა, ტელევიზიონმა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა შეუდგნენ მისი პარტიული განცხადებების მიზანშეწონილობის შემოღობვა და დაამატებენ პროექტის წინადადებას, რომელთა მიღება საგნებით სავაჭრომდინარე მიზანშეწონილობის და დამატებების პროექტის წინადადებას, რომელთა მიღება საგნებით სავაჭრომდინარე მიზანშეწონილობის და დამატებების პროექტის წინადადებას, რომელთა მიღება საგნებით სავაჭრომდინარე მიზანშეწონილობის და დამატებების პროექტის წინადადებას.

ქართველ კაცს ოდითგანვე მოსდამადა პარტიისკენ სხვა ერებისა და სარწმუნოების ხალხისადმი, რაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მრავალზე მრავალი მაგალითით არის განმტკიცებული. სასაცილოც კია იმაზე ლაპარაკი, რომ ასე, ერთი ხელის ძალისხმევით თვითონ ეს საამაყო თვისება, რომ ლითაც, სხვა ღირსებებთან ერთად, გამოთრჩეულ ქართველ ერი. ეს არავინ უნდა დაივიწყოს!

საქართველოს სპორტული მატინგი ამის ნათელი დამადატურებელია. ჩვენი გულმემატყვრები ქართველ სპორტსმენებთან ერთად თავიანთ სიყვარულს თანაბრად უნაწილდნენ სხვა ერისთვის ათლებებს, რომლებიც მუდამ პარტიონადა იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის სახელს საკავშირო და საერთაშორისო სარბიულზე.

**ბამონბაშობა ვერილმა:** „საით მიდის მართული ჩოგბურთი?“

**რატომ არ არის ჩოგბურთი მასობრივი?**

**ვახაძითხა** „ლელოში“ მოთავსებული ვლადიმერ გოგლიძის წერილი „საით მიდის მართული ჩოგბურთი?“ დამებადა აზრი, მომეწონა რედაქციაში. 13 წლის ვარ, ძალიან მიყვარს ჩოგბურთი და ძალიან მაწუხებს ის ამბავი, რომ ჩოგბურთში არა ვგაქვს ამ სახეობის სექცია. მგერა, რომ ბევრ გოგონას და ჭაბუკს იტაცებს ჩოგბურთში.

**ე. ახვლედიანი.**

## IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაზები © წაღბურთი

### ყველას თავისი საზრუნავი აქვს

**საითხარია,** ქუთაისელი წყალბურთელები რესპუბლიკური პირველობებში თბილისელებს და, არც თუ იხეიათად სხვებსაც, სერბიულ წინააღმდეგობას ვერ უწევენ, მაგრამ საქართველოს უპირველეს გუნდში მუდამ ჩნდებათ ქუთაისში აღზრდილ სპორტსმენს, რომელიც ლიდრად გვევლინება. ამიტომაცაა, რომ აქაურ წყალბურთელთა გამოსვლებს თვალყურს მუდამ ღიდი ინტერესით ვაღვენებთ.

ქუთაისელებმა, ისევე როგორც საქართველოს ჩემპიონატში, ამ ასპარეზობაშიც მეორე ადგილი დაიკავეს. იქაც და აქაც მათი გუნდის შემადგენლობა თითქმის ერთნაირი იყო.



თბილისის ნაკრები.

წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატის აღმოჩენა იყო ქუთაისელი რევაზ ჩომაჩიძე, რომელმაც, სპეციალისტთა თქმით, უნივერსალური წყალბურთელის თვისებები გამოავლინა. ამ 15 წლის ჭაბუკზე თავის დროზე ვწერდით და მასზე აღარ შეგვირდებოდა.

ახლა გვიდა ქუთაისელთა რიგებში გამოჩენილი კიდევ ერთი პერსპექტიული წყალბურთელი — გრიგოლ კაციტაძე გაეცნოთ, რომელმაც IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაზების პროგრამით გათვალისწინებულ წყალბურთელთა ასპარეზობაში გამოიჩინა თავი.

ამ ასპარეზობაში, რომელიც თბილისში, საქართველოს სპორტსაბჭოსის სპორტკომპლენატის ზამთრის საცურაო აუზში გაიმართა, ქუთაისელთა გარდა მონაწილეობდნენ თბილისის, რუსთავის, აჭარისა და აფხაზეთის გუნდები. უკონკურსოდ მონაწილეობდა თბილისის პროფკავშირის სპორტსაზოგადოების ნაკრებიც, რომელიც, სხვათა შორის, შევიძრებებზე ოფიციალურად რომ დაუშვიათ, მეორე-მესამე ადგილებს განიანწილდა.

წლევანდელი საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ქუთაისელებს უფლება მისცეს წყალბურთელთა I ლიგის საკავშირო პირველობის საგზურისათვის გადასასაგლე ტურნირში გამოვიდნენ. ეს ასპარეზობა ალმა-ათაში დეკემბრის დასაწყისში გაიმართება და ამიტომ IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაზების პროგრამით გათვალისწინებულ წყალბურთელთა შევიძრებებში გამოსვლა ქუთაისელთათვის ერთგვარი მოსამზადებელი ასპარეზობა გახლდათ.

როგორი შანსი აქვთ ქუთაისელებს I ლიგის საგზურის მოსაპოვებლად? — სამწუხაროდ, ჩვენ მომავალ

მეტოქეებს არც ვიცნობთ, — გვეუბნება ქუთაისელთა უფროსი მწვრთნელი ალეკო გიორგაძე, ახლო წარსულში თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის მობამაზე. — თუმცა, უნდა ითქვას, რომ წლევანდელ მარშან ბათუმში შევევლით I ლიგის ბინადარ ლენინგრადის „ბალტიკას“, რომელიც წინათ უმაღლეს ლიგაშიც გამოდიოდა. მართალია, მათთან ორივეჯერ დამარცხდით, მაგრამ დავმარცხდით თანაბარ ბრძოლაში. ასე რომ, რაიმეს თქმა მივირს. ალმა-ათაში წარმატებას მოამოვებს ის გუნდი, რომელსაც ოსტატობა და ამგვარ ტურნირებში გამოსვლის გამოცდილება აქვს, რაც ჩვენ არ გავაჩნია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარმატებისთვის თავდაუზოგავად არ ვიბრძობთ.

სამწუხაროდ, თბილისში გამართული IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაზების მონაწილეები, თბილისელთა გარდა, ის გუნდები არ აღმოჩნდნენ, ქუთაისელებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპარინგ პარტნიორებად რომ გამოადგებოდათ. თავად განსაჯეთ: ქუთათურებმა გამარჯვეს 13:6 — აჭარის ნაკრები: თან; 16:3 — აფხაზეთის გუნდთან, 8:4 — რუსთაველებთან. მინიმალური ანგარიშით — 7:6 — აჭობეს უკონკურსოდ მონაწილე თბილისის პროფკავშირის სპორტსაზოგადოების გუნდს, თავად კი თბილისის ნაკრებთან დამარცხდნენ 5:13. ეს ანგარიშები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ჩემპიონატში არათანაბარი ძალის გუნდები გამოდიოდნენ.

აჭარის წარმომადგენლებმა მხოლოდ აფხაზეთის გუნდს სძლიეს (10:4), დანარჩენი შეხვედრები კი პირწმინდად წააგეს. როგორც მათ გვიტხრეს, **ასპარეზობაზე თხუთ-**

მეტი დღის განმავლობაში აჭარის გუნდს არ უფარჯია. აუზი დაუცლიათ და მისი თბილი წყლით გაეცხა ველარ მოუხერხებიათ, თუმცა ეს მათზე დამოკიდებული არც ყოფილა.

**გაბობობს საქვე ვერც სოფლის აუზშია კარგად მოგვარებული.** ამის გამოცაა, იქაურები სკოლას რომ ამითავე გუნდს, წყალბურთსაც ეთხოვებინან. ამიტომ იყო, რომ შევიძრებებზე უმცროსი ასაკის სპორტსმენები ჩამოიყვანეს.

ახლა რუსთაველთა შესახებ. ამ ქალაქში წყალბურთი რამდენიმე წლის წინათ დაინერგა და 25-მეტრიან აუზში დაიწყეს ვარჯიში. სხვადასხვა რანგის რესპუბლიკური პირველობებში საპრიზო ადგილები მათ არაერთხელ მოიპოვეს. ახლაც



ქუთაისელთა გუნდი.

მესამე ადგილი დაიკავეს. როგორც რუსთაველთა მწვრთნელი ვალერიან ბინილაშვილი გვითხრა, მეტალურგთა ქალაქში სულ მალე მწყობრში ჩადგება აუზი წყალბურთელთათვის. საგარეულად და იმიედის უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს ნაკრები რუსთაველები მომავალში ღირსეულ ადგილს დაიკავენ.

რაც შეეხება თბილისის ნაკრებს (დ. კოპალეიშვილი, მ. ნაბიჯაშვილი,

გ. გონაძე, ლ. გელაშვილი, თ. პარტიძე, გ. ოდიშელი, ლ. ქარჩილაძე, ი. მარგალიცი, დ. გურუნიძე, ი. ტატიშვილი, ი. ოსიპოვი და ლ. მუჯაირიანი; მწვრთნელი — ი. ქართველიშვილი), როგორც მოსალოდნელი იყო, მან ყველა შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგო და ჩემპიონიც გახდა.

ეს შევიძრებებმა მოხნად საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაზებისთვის საქართველოს ნაკრების კანდიდატთა შერჩევასაც ითვალისწინებდა. სამწუხაროდ, ნაკრების კანდიდატებად ძირითადად შეიარჩიეს მხოლოდ ის თბილისელი, ქუთაისელი და რუსთაველი სპორტსმენები, რომლებიც წლევანდელ ჭაბუკთა საკავშირო სპორტულ თამაზებზე გამოდიოდნენ. სხვათა მობამადება ამ ეტაპზე აშკარად არადაამაყვთვილი ვებელი იყო. ერთადერთი გამოწაკლისი გახლდათ ქუთაისელი გრიგოლ კაციტაძე, რომელიც ზემოთ გაგაცანით.

სასიამოვნოა, რომ შევიძრებებზე მსაკრების მიმართ პრეტენზია არავის გამოუთქვამს. — წინათ რესპუბლიკური პირველობაზე მსაკრები თავმოყრა გვიჭირდა, — გვეუბნება ამ ასპარეზობის უფროსი მსაკი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი დავით იაშვილი. — ასეთი რანგის ასპარეზობის მომსახურებას ბევრი ჩვენი მსაკი უკადროსობდა. ახლა ფედერაციის სხდომანზე გადაწყვიტეთ, რომ ის არბიტრები, რომლებიც რესპუბლიკური პირველობაზე უარს იტყვიან, არც საკავშირო ასპარეზობებზე დაუშვიათ. ასეთმა გადაწყვეტილებამ ნაყოფი გამოიღო და ახლა ყველაფერი მსაკრებსა და ნაკრებობას არ განვიციტო.

როგორც ხედავთ, ყველას თავისი საზრუნავი და მიზანი აქვს. ამ ეტაპზე უმთავრესი IV საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაზებისთვის გუნდის მზადებაა. ნაკრების ინტერეგებისთვის ყველამ ერთნაირი მონაწილეობით უნდა იზრუნოს.

**ავთანდილ ბურახაშვილი.**



გპჩირღაუა უეჟი

საქართველოში მარათონულ რბენას დიდი ტრადიცია არა აქვს და ამ დისტანციის დამთავრებაც წარმატებულად ითვლება ჩვენი მორბენლებისთვის. საქართველოს ჩემპიონატშიც, რომელიც, როგორც უკვე გაცნობთ, თბილისის ზღვის პირას გაიმართა, თერთმეტმა მონაწილემ დაძლია ეს რთული დისტანცია, თუმცა რამდენიმე მთავანი კარგი შედეგის მიღწევასაც ვეძღვებით. ეს პირველი რბევა თბილისის მარათონის მემორიალური სახელით ხელახლა შეეწყობა. მარათონის მანძილი 42,195 მეტრი 2:24.33,8 გაირჩინა და ამჟამად უპირატესობით აჯობა შეიხარების სხვა პრეზიდენტის ოლეგ ხარაზიშვილს (2:28.51) და ალექსანდრ კარცევს (2:46.51). ასანინი ნავია, რომ 37 წლის ინტენერმა ზედის მესამედ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონობა. დისტანცია დაამთავრა ერთადერთმა გაცნობამ მუკელამ აბურაძემ — 4:13.47.

უფრო ტიტულოვანი მონაწილეები გამოვიდნენ 9,580 და 20-კილომეტრიან დისტანციებზე, სადაც ამჟამად იყო მათი უპირატესობა. ქალთა შორის (9,580 კმ) გაიმარჯვა საქართველოს ქალის სპორტის ოსტატმა ლეონიდა შავოვალოვამ — 36.13,0, ხოლო ვაჟთა 20-კილომეტრიან მანძილზე ყველას აჯობა ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა სტაიერმა ოლეგ სტრიეკოვამ — 1:05.04. ყველაზე მეტი ჰაბუჯი სპორტსმენი ასპარეზობდა 9580 მეტრ მანძილზე, სადაც პირველობა ზურაბ ნიძემ მოიპოვა.

მთლიანად, შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, სპორტსმენთა კვების, სამედიცინო მომსახურების სტიქის დროულად გადაიჭრა. დიდი მადლობა გვიხდა გადაეგზავნათ თბილისის ავტოინსპექციის მუშაკებს, რომლებმაც ხუთი საათით საიმედოდ გადააქცეს ზვის მონაკვეთი, სადაც მარათონის ტრასა გადიოდა.

არ იფიქროთ, რომ აღნიშნული მარათონი უნაკლოდ ასპარეზობდა ორგანიზატორების მხრივ. ყოველ წელს მისი ჩატარებისას ორგანიზატორებს მართლაც ბევრი ძნე-

ყველაზე სწრაფი პლაშიანგე

ყველას ინტერესებს ვინ არის ყველაზე სწრაფი ადამიანი სამყაროში? ამის თაობაზე ბევრი გამოკვლევა ჩატარებულია, ყოველ დიდ შეჯიბრებას, იქნება ეს საკონტინენტო თუ მსოფლიო ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშები, მოაქვს ახალი რეკორდები, ახალი უმაღლესი შედეგები. ახლაც, სეულის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ, სპეციალისტები, ლაინტერესებული პირნი კვლევა შეუდგნენ ახალი მიღწევების შესაბამის ანალიზს. ვინ არიან ყველაზე სწრაფები სამყაროში? ამაზე ასეთი პასუხი გასცა გაზეთ „ჩეხოსლოვენსკი სპორტის“ რედაქციამ. ამერიკელმა სპორტსმენმა კ. ლიუსმა 100 მეტრზე რბენაში აჩვენა საშუალო სისწრაფე—43,412 კმ საათში. გდრ-ის ცნობილი ველოსიპედისტი ლ. ჰესლიშმა ველოპრინტში 200-მეტრზე მონაკვეთზე საშუალოდ საათში 69,264 კილომეტრი განავითარა.

აქაღმიურ ნიშნობაში 2-კილომეტრიან დისტანციებზე საუკეთესო შედეგი აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკიპებს — 20,806 კილომეტრი საათში. 4-მოსასმელიანი ბიდიარით 1-კილომეტრზე რბოლაში უნგრელმა სპორტსმენებმა საათში საშუალო სისწრაფე აჩვენა—19,978 კილომეტრი.


ამერიკელმა მოცურავემ მ. ბიონდომ 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საათში საშუალო სისწრაფე აჩვენა—8,130 კილომეტრი. აი, სწორედ ეს მაჩვენებლებია ყველაზე უფრო სწრაფი ჩვენს სამყაროში.

გრანდიოზული მატჩი

როზორც ცნობილია, აგვისტოში ბუდაპეშტში გაიმართა საჯარო კომპოზიციის საერთაშორისო კონკურსის XXXI სხდომა, რომელმაც რამდენიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტა, მათ შორის ეტიუდების ქვეკომისიის შექმნა. ბუდაპეშტის სხდომას ესწრებოდნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები — საერთოდაც უნდა აღვნიშნავთ, რომ ეს სხდომა და ჩვენი რუბრიკის ხელმძღვანელი, ისინი შეხვედნენ შედეგად დაუვადებს ა. პილშაინს და ლ. ფაულს, რათა საბოლოოდ შეთანხმებულიყვნენ ეტიუდისტიკის დიდი მატჩის ჩატარებაზე. გადაწყვედა, რომ 1989 წელს გაიმართოს გრანდიოზული საერთაშორისო მატჩი საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების ეტიუდისტებს შორის.

მატჩის წარმომადგენელს და შემდეგ შეარჩიეს ორი თემატური დავალება, რომლებიც შემოქმედებდნენ უნდა განახორციელონ ორივე მეტოქე გუნდის ეტიუდისტებმა.

თემა „ა“ (წარმომადგინა საბჭოთა კავშირში) — ეტიუდში, რომელშიც თეთრები იგებენ, შავების კონტრთამაში უნდა შეიცადეს მუდმივ ქიშს ან თეთრ ფიგურაზე მუდმივ თავდასხმას. ქვემოთ განვიხილავთ მათგან.



შავები

თეთრების ერთადერთი შანსი პაიკის წინგეპოში მდგომარეობს. 1. f5 მფფ5! (არ ვარა 1... მე3 2. f6 მფ4 3. f7 მე5 4. f8! და თეთრები იგებენ) 2. f6 მფდრ 3. მფდრ მე3 4. f7 მე4! შავებმა საინტერესო მახე დაუგეს მეტოქეს. ახლა თუ 5. f8? მაშინ მინ + 6. მფმ8 მფ7 + 7. მფდრ მინ + და ყანია მუდმივი ქიშის გამო. მაგრამ თეთრები ფხზლად არიან — ისინი თამაშობენ 5. f8! და სამი

„სპორტპროგნოზი“

47-ე ტირაჟის შედეგები (19-20 ნოემბერი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 47-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 19-20 ნოემბერს გაიმართა.

აპთანდილ პერიკმ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საშუალო და გრძელ მანძილზე მორბენალთა უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

პირველობა

მარათონი. 1. ვალერი გელეჯანიშვილი (კლუბი „უე“) — 2:24.51,8; 2. ოლეგ ხარაზიშვილი („მგლის მუხლი“) — 2:28.51,8; 3. ალექსანდრ კარცევი (ასე) — 2:46.51.

20 კმ. ვაგონები. 1. ლიზა ბურნაძე — 1:29.28; 2. ლამბირა კეპანაძე — 1:30.39; 3. ირმა ბაქრაძე — 2:51.33.

ვაჟები. 1. ოლეგ სტრიეკოვი — 1:05.03; 2. სერგეი არტამოვი — 1:05.42; 3. შალვა ნადირაძე — 1:05.46.

9580 მ. ქალები. 1. ლეონიდა შავოვალოვა — 36.13,0; 2. ლიზა ნინიშვილი — 38.46,0; 3. სურაია მირზოევა — 39.11,0.

ვაჟები. 1. ზურაბ ნიძერი — 32.45,0; 2. სერგეი პავლოვი — 34.52,0; 3. ანდრეი რაიკოვი — 35.36,5.

გუნდური. 1. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება; 2. ასე; 3. „დინამო“; 4. „მოდითი რეზერვები“.

კლუბები. 1. „უე“; 2. „მგლის მუხლი“; 3. „ლოპუეშაჟი“.

„სპორტპროგნოზი“, 49-ე ტირაჟის პრინციპი (3-4 დეკემბერი)


Table with 4 columns: Lottery ticket numbers, names of games (e.g., 'დინამო'), and winning amounts. It lists various lottery games like 'დინამო (მოსკოვი)', 'გზრ-ის ჩემპიონატი', etc.

შენიშვნა: კვანთბურთის მატელოგიაში მიიღება ძირითადი დროის შედეგა.

მხედარი ერთის წინააღმდეგ იმარჯვებს.

თემა „ბ“ (წარმომადგინა შვეიციაში) — ეტიუდი მოგებაზე ან ყალიბზე. თემატური მცდარი კვალში შავები ტემპის დეკარგვით უარყოფენ თეთრების თამაშს. ნამდვილ თამაშში კი თეთრები მიზანს საკუთარი ტემპის დაკარგვით აღწევენ.

ა. პილშაინი, 1988



შავები

თემატური მცდარი კვალთა: 1. ე:ხ3? კენ+ 2. მფფ3 კ:ხ3 3. კენ+ ხ5 4. ე:ხ5+ მფფ5! (შავების ტემპსვლა, რადგან 4. ...მფ:ხ5? 5. მფ:ხ3 და ისინი აგებენ ცუდგვანგის გამო) 5. მფ:ხ3 მფ:ხ5 თეთრები ცუდგვანგში არიან და ყალიბა.

ეტიუდს ხსნის: 1. კენ+! ხ5 2. ე:ხ5+ მფფ5 (2. ...ე:ხ5 3. ეა3X) 3. ე:ხ3 კენ+ 4. მფდ4! (საბასუხობ რეპლიკა — თეთრების ტემპოსვლა, რადგან 4. მფდ5? ე:ხ3 ყალიბი) 5. მფდ5 (ახლა შავები აღმოჩნდნენ ცუდგვანგში) 6. ხ4X.


გუნდის ნებისმიერ წევრს შეუძლია ორივე თემატურ წარმომადგენლის თითო-თითო ნაწარმოები. მონაწილეთა რაოდენობა განუსაზღვრელია. მატჩის სჯის ოთხი მსახი (ორი დიდოსტატი და ორი ეტიუდისტი): ი. ავერბახი, პ. კასპაროვი (ორივე — სსრკ), ვ. ნანი, ვ. როიკოვიჩი (ორივე — ინგლისი). თითოეულმა მათგანმა ყოველი თემის მიხედვით უნდა გადაარჩინოს 30-30 საუკეთესო ნაწარმოები და დააღვას ისინი ადგილების მიხედვით. პირველ ადგილზე გამოსული ეტიუდი იღებს 30 ქულას, მე-2-ზე 29 — ქულას და ა. შ. გამარჯვებული გუნდი გამოვლინდება ქულათა საერთო დაჯამების შედეგად. მსოფლიოს ნაკრები გუნდის ნაწარმოებთა შეგროვებას და გავრცელებას უზემდგვანგებს შეედი ეტიუდისტი ლარს ფაუკი, ხოლო ჩვენი გუნდის კე-

პიტანია მოსკოველი საერთაშორისო ოსტატი, ეურნალ „შახმატი ვ სპორტის“ წამომოხრიცით განყრფილებს ხელმძღვანელი ანატოლი კუზნეცივი.

ბეწინშაინი, რომ ასეთი გრანდიოზული ღონისძიება პირველად ტარდება, საყვაველთა ინტერესს იყვევს საჯარო სამყაროში და იმედია, მას სათანადოდ გამოეხმაურებიან ჩვენი რესპუბლიკის ეტიუდისტებიც.

ამოსახსენად ვთავაზობთ სოფ. ხრენის (ტყებულის საქ. საბჭო) მკვიდრის ნაწარმოებს, რომელიც მინიატურული ამოცანების შედეგით არის დაინტერესებული.

ო. თაბლაკი (იბეჭდება პირველად)



შაჰათი 2 ხელაში

მოგწვევით ამ ორსკლიანი ამოცანის ამოსხნა და კომენტარები, მჭირფასო მეგობრებო!

ამოსხნა

„ლელოს“ 13 ნომბრის ნომერში დაბეჭდილი ვ. ჩინის სამსკლიანი ამოცანის ამოსხნა: 1. ლფმ: მად7! 2. ლხმ1 ცუგცეანგი. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: გ. მამფორია (ჩხოროწყუ), ვ. ქველიაშვილი (რუსთავი), ფ. ბერიაშვილი (გურჯაანი), გ. ლაცაბიძე (ზნაური), რ. ცერცევაძე (ზესტაფონი), ნაირა ხელაშვილი (ვაჭიში, სიღნაღის რ.), გ. ზურაბიანი (საბჭოთა არამია), ნ. კახიძე (ბათუმი), გ. და ნ. ჭკადეები (სოხუმი), ბ. ბაქრაძე, გ. და ვ. გოგიაშვილი (ყვალა — ქუთაისი), ა. და ვ. ცინცაბაძეები, დ. და თ. მამულაშვილები, ა. დირსიაშვილი, ქეთინო და მკაც ყურაყვი, ხათუნა შურუაია, მიაი გოგიაშვილი, შ. ფირცხალავა, კ. მჭედლოძე, ე. და თ. ნემსაძეები, ვ. შავაულოძე, ვ. მეშველიანი, გ. ტაბაძე (ყვალა — თბილისი).

ჯონსონი დაბრუნებას აპირებს

— ორი წლის შემდეგ ისევ მიხილავთ სარბენ ბილიტზე, ოთხი წლის შემდეგ კი შევეცდები კვლავ გაეხვე მსოფლიოს უძლიერეს სპორტივტში. ბენ ჯონსონის ეს სიტყვები დაბეჭდა მილანის გაზეთმა „ეურთოპეო“, რომლის კორესპონდენტი ესაუბრა კანადელ სპორტივტს. როგორც ცნობილია, ჯონსონი დისკვალიფიცირებული იყო სეულში ღობინგის მიღების გამო. — ოღნაყვ არ ვგრძნობ თავს დამნაშავედ. ექიმები მიმეყდნენ აბებს და მე მათ ვიღებდი. კნაყოფილი ვარ იმით, რომ სეულში ვაჭობე ლიუსის, რომელიც მუდამ იმაზე ფიქრობს, რომ პირველი იყნის ფინალიში მისი შეცდომა სწორედ ის ვასლდათ, რომ მე შეზრძოდა, ჩემმონმა კი, პირველ ყოვლისა, თქვა თავზე უნდა იფიქროს, თქვა ჯონსონმა.

გასწორება

„ლელოს“ 26 ნომბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში დაშვებულია უზუსტობა. ნაცვლად თბილისის № 75 საშუალო სკოლისა, უნდა იკითხებოდეს 72-ე საშუალო სკოლა.

რედაქტორი თ. გარეინიძე

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპარტამენტისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩამატების ხელაფონები: წერილების განყოფილება — 93.97.55, სამდევრო — 93.97.52, ინფორმაციის განყოფილება — 93.97.58, „მერანი“ — 93.97.26, „მარტვი“ — 93.97.27.

ჩვენი ოფისი 68435

საქართველოს კ. ც. ც-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05601